პაციენტის საინფორმაციო ჩანართი

ყურადღებით წაიკითხეთ ჩანართი სრულად რადგან ის შეიცავს თქვენთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას

ეს მედიკამენტი გაიცემა რეცეპტის გარეშე რათა შესაძლებელი გახდეს გარკვეული დაავადებების მკურნალობა ექიმის გარეშე. მიუხედავად ამისა საუკეთესო შედეგის მისაღწევად გჭირდებათ ლიპოკიდსის ფრთხილად გამოყენება ჩანართში მითითებული ინფორნაციის მიხედვით.

- შეინახეთ ჩანართი. შეიძლება დაგჭირდეთ მისი ხელახლა წაკითხვა.
- თუ თქვენ გაგაჩნიათ დამატებითი კითხვები, მიმართეთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს.
- თუ სიმპტომები უარესდება ან არ მცირდება (მოზრდილებში 7 ხოლო ბავშვებში 3 დღის შემდეგ) მიმართეთ ექიმს.

ლიპოკიდსი

(Tiliae in orescentiae extractum siccum)

სიროფი, 97მგ/5მლ

შემადგენლობა:

ერთი კონტეინერი (125გ სიროფი) შეიცავს აქტიურ ნივთიერებას: 1.85მგ ცაცხვის მშრალ ექსტრაქტს (*Tiliae in orescentiae extractum siccum)* 6-7:1, 10-30% მალტოდექსტრინს, ეთანოლის ექსტრაგენტს 40% (მ/მ).

ექსციპიენტები: საქაროზა, ნატრიუმის ბენზოატი, უწყლო ლიმონმჟავა, ქსანტანის გუმფისი, ჟოლოს არომატიზატორი AR0320, გასუფთავებული წყალი.

ხელმისაწვდომი კონტეინერები:

შუშის ფლაკონი 125გ სიროფით.

სავაჭრო ლიცენზიის მფლბელი:

Aflofarm Farmacja Polska sp. z o.o.

ul. Partyzancka 133/151

95-200 Pabianice, Poland

ჩანართის შინაარსი:

1. რა არის ლიპოკიდსი და რისთვის გამოიყენება
2. რა უნდა იცოდეთ ლიპოკიდსის მიღებამდე
3. როგორ მიიღება ლიპოკიდსი
4. შესაძლო გვერდითი ეფექტები
5. როგორ ინახება ლიპოკიდს
6. სხვა ინფორმაცია

1. რა არის ლიპოკიდსი და რისთვის გამოიყენება

ლიპოკიდსი სიროფი შეიცავს ცაცხვის ნაყენს, რომელიც ტრადიციულად გამოიყენება როგორც მსუბუქი დიაფორეტული საშუალება. პროდუქტის ეფექტურობა დაფუძნებულია მხოლოდ ხანგრძლივ გამოყენებაზე და გამოცდილებაზე.

თერაპიული ჩვენება:

ტრადიცილად როგორც მსუბუქი დიაფორეტული საშუალება. დამხმარე საშუალება გაციების, ყელის ტკივილის და ხველის დროს.

2. ლიპოკიდსის გამოყენებამდე

არ გამოიყენოთ ლიპოკიდსი:

- თუ ალერგიული ხართ (გაქვთ ჰიპერმგრძნობელობა) ლიპოკიდსის რომელიმე ინგრედიენტის მიმართ;
- თუ გაქვთ დიაბეტი, შაქრის შემცველობის გამო (10მლ სიროფი შეიცავს 8გ საქაროზას).

ორსულობა:

მონაცემები არ არის. ნებისმიერი მედიკამენტის მიღებამდე მიმართეთ ექიმს.

ლაქტაცია:

მონაცემები არ არის. ნებისმიერი მედიკამენტის მიღებამდე მიმართეთ ექიმს.

ავტომობილის მართვა და მექანიზმების გამოყენება:

ლიპოკიდსი მიჩნეულია უსაფრთხოდ და არ მოქმედებს ფსიქომოტორულ შესაძლებლობებზე ან ავტომობილის მართვის და მექანიზმების გამოყენების უნარზე.

ლიპოკიდსის გამოყენება ბავშვებში:
ლიპოკიდსის გამოყენება შეიძლება ბავშვებში 1 წლის ასაკიდან, თუმცა 3 წელზე უმცროსი ასაკის ბავშვებში, ეჭვის შემთხვევაში, გამოყენებამდე მიმართეთ ექიმს.

მნიშვნელოვანი ინფორმაცია ლიპოკიდსის ზოგიერთი ინგრედიენტის შესახებ:
აუტანლობის შემთხვევაში ლიპოკიდსის მიღებამდე მიმართეთ ექიმს.

სხვა მედიკამენტების გამოყენება:
სხვა მედიკამენტებთან ურთიერთქმედების შესახებ მონაცემები არ არის.

3. როგორ მიიღება ლიპოკიდსი?
ორალური გამოყენებისთვის. 1-3 წლის ასაკის ბავშვებში: ექიმის კონსულტაციის შემდეგ, ჩვეულებრივ 1 ჩაის კოვზი (5მლ) სიროფი 2-3 ჯერ დღეში. 3 წელზე უფროსი ასაკის ბავშვები: 1 ჩაის კოვზი (5მლ) სიროფი 4-5 ჯერ დღეში.
მოზრდილები: 1 ჩაის კოვზი (10მლ) სიროფი 3-4 ჯერ დღეში.

თუ მიიღეთ საჭიროზე მეტი ლიპოკიდსი:
დოზის გადაჭარბების შესახებ მონაცემები არ არსებობს. საქაროზას მაღალი დოზებისადმი აუტანლობის მქონე პირებში შეიძლება განვითარდეს გულისრევა.

4. შესაძლო გვერდითი ეფექტები
როგორც ნებისმიერი მედიკამენტი, ლიპოკიდსიც შეიძლება იწვევდეს გვერდით ეფექტებს. გვერდითი ეფექტების შესახებ მონაცემები არ არსებობს. თუ აღნიშნავთ გვერდით ეფექტებს, ამის შესახებ აცნობეთ ექიმს.

5. როგორ ინახება ლიპოკიდსი?

შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილზე. არ გამოიყენოთ კონტეინერზე მითითებული ვარგისიანობის ვადის გასვლის შემდეგ. შეინახეთ არაუმეტეს 25°C ტემპერატურაზე. არ გაყინოთ. ფლაკონის ფსკერზე ნალექი არ არის პროდუქტის დეფექტი. ის გამოწვეულია სიროფში ნატურალური ინგრედიენტების შემცველობით.

6. სხვა ინფორმაცია:

დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ მიმართეთ სავაჭრო ლიცენზიის მფლობელს

Aflofarm Farmacja Polska sp. z o.o.

ul. Partyzancka 133/151

95-200 Pabianice, Poland

პაციენტის საინფორმაციო ბროშურა შექმნილია:

თარგმანი შეესაბამება ორგინალს, მთარგმნელი: